ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2019-14

ქ. თბილისი **04 თებერვალი 2019 წელი**

ერთის მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტი (ს/კოდი: 218065055)** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის **ოთარ ცოტნიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „პისიშოპ ჯი“ (ს/კ 205198481)** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ ხორგუაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ -“ხელშეკრულება”) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.
1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 7 (შვიდი) ერთეული ფლეშმეხსიერების ბარათის Team C175 32GB USB 3.0 black შესყიდვა **(CPV კოდი - 30234600)**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **210.00 (ორას ათი ლარი და 00 თეთრი) ლარს;**
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
4.2. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის სრული მიწოდების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების სათანადოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. საქონლის ხარისხი

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველი“-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

7. საქონლის მიწოდების ვადა და პირობები

7.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7.2. საქონლის მიღების დროს მიმწოდებლის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს საქონლის იდენტურობის დადგენა წაყენებულ მოთხოვნებთან, რომელთა დაუკმაყოფილებლობის ან/და ქარხნული წუნის არსებობის შემთხვევაში შემსყიდველი უარს აცხადებს ასეთი საქონლის მიღებაზე და მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს ახალი, ხარისხიანი საქონელი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებულ მოთხოვნებს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება. ინსპექტირებას განახორცილებს: ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მომსახურების საკითხებში IV რანგის - I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ნუკრი ცაციაშვილი.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის დროულად და ხარისხიანად მიწოდების შემდეგ ჩაურიცხოს მიმწოდებელს მის საბანკო ანგარიშზე მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია
ა) მოსთხოვოს შემსყიდველის მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ს.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან ან დარღვევათა გამოსწორებისაგან.
9.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0,1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.6.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
10.8. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
12.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. გარანტია

13.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.
13.2. თუ აღნიშნულ ვადაში დაზიანდება საქონელი, რომელიც არ იქნება გამოწვეული გარე მექანიკური ზემოქმედების ან მათი არასწორი ექსპლუატაციისაგან, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის ახლით შეცვლა, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

14. დავის გადაწყვეტა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, მეორე კი - მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების შესრულების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 4 თებერვლიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 მარტის ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართი, რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ერედვის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
ს/კოდი 218065055
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE85KS0000000330300001
ბ/კოდი: AGREGE22
Tel: 595 33 94 00

მიმწოდებელი:
შპს „პისიშოპ.ჯი“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18
ს/კოდი 205198481
მიმღები ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი“
ა/ა GE27BG0000000184252600
ბ/კოდი BAGAGE22
Tel: +995(32)92-19-59

18. მხარეთა ხელმოწერები

Eredvi Municipality
Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2019.02.12 12:00:20 +04'00'

ოთარ ცოტნიაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზურაბ ხორგუაშვილი
შპს „პისიშოპ.ჯი“-ს დირექტორი

PCSHOP .GE LLC
Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2019.02.12 11:30:56 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი **4 თებერვალი 2019 წ.**

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ახალი ფლეშმეხსიერების ბარათების (CPV **კოდი** - 30234600) შესყიდვის განხორციელებაში, რომელსაც ახორციელებს **შპს „პისიშოპ. ჯი“** ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მომსახურების საკითხებში IV რანგის - I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

---------- ნუკრი ცაციაშვილი